ავტობიოგრაფია

ბაია ოტიაშვილი დავიბადე 1978 წლის 3 თებერვალს, ახმეტის რაიონში.

1995 წელს დავამთავრე ქ. თბილისის №172 საშუალო სკოლა.

2000 წელს წარჩინებით დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სპეციალობა–სამართალმცოდნეობა, კვალიფიკაცია იურისტი;

2001 წლის 1 მაისს დავამთავრე ტექნიკური უნივერსიტეტის პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობის სრული კურსი.

2001–2004 წლებში თბილისის პოლიტიკურ აკადემიაში ვკითხულობდი ლექციათა კურსს სისხლის სამართალში.

2002–2004 წლებში ვმუშაობდი თბილისის გლდანი–ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში სხდომის მდივნად.

2004 წლის 14 სექტემბერს თბილისის გლდანი–ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში დავინიშნე მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე.

2005 წლიდან 2011 წლამდე ვმუშაობდი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მოსამართლის თანაშემწედ.

2003 წლის 8 თებერვალს ჩავაბარე პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

2003 წლის 3 ივნისს ჩავაბარე მოსამართლის თანაშემწის ტესტური გამოცდა.

2006 წლის 23 მაისს ჩავაბარე ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო სპეციალიზაციით.

2009 წლის 3 ოქტომბერს ჩავაბარე მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა ადმინისტრაციულ–სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით.

2009 წელს ვმონაწილეობდი სასამართლო ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის რეფორმის (USAID JAMR), საქართველოს სასამართლოების საქმიანობის ავტომატიზებული სისტემის მოთხოვნების ჩამომყალიბებელი ჯგუფის მუშაობაში.

2011 წლიდან 2020 წლამდე ვიყავი ადვოკატი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი.

2019 წლის დეკემბიდან 2020 წლის ივნისამდე ვსწავლობდი იუსტიციის უმაღლეს სკოლაში

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ.

2023 წლის ნოემბრიდან თანამდებობაზე განწესებული ვარ უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

2024 წლის 24 მარტს მოსამართლეთა კონფერენციის გადაწყვეტილებით არჩეული ვარ ადმინისტრაციული კომიტეტის წევრად.

მყავს მეუღლე ერთი შვილი.